საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 6

ქ. თბილისი 5 ივნისი, 2019 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, პაპავა გივი, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, ჩიტაშვილი მარინე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტ **ეკა თანდილაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ანა მაჩაბლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
3. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტ **თამარ ლეკაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **ლია დავითაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია" დოქტორანტ **მირანდა გიორგაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **ეკატერინე კვირკველიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
7. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია" (ქვედარგი - მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია) დოქტორანტ **კონსტანტინე ფერაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ (ქვედარგი - თარგმანმცოდნეობა) დოქტორანტ **ეთერ ჭურაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ (ქვედარგი - ინგლისური ფილოლოგია) დოქტორანტ **ლია რუხიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურის კვლევები“ დოქტორანტ **ნინო მგალობლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება:

13. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგია“ დოქტორანტ **ანა თეთრუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის შეცვლა და ახალი რეცენზენტის დამტკიცება.

14. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **თეა გველესიანის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

15. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ანა ტიკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **ეკა თანდილაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის მანანა კალანდაძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „არაკარიესული დაავადებების თავისებურებები ბავშვთა მოსახლეობაში და პროგნოზული ფაქტორების ანალიზი“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის გავლენის განსაზღვრა ფლუოროზის განვითარებასთან კავშირში. აღნიშნა, დოქტორანტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მნიშვნელობა: არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა გავრცელებისა და სიხშირის, მათი რისკ–ფაქტორების აღწერა საშუალებას

გვაძლევს მიეწოდოს რეკომენდაციები სტომატოლოგებს, რათა შეიმუშავონ პრევენციული ღონისძიებების სტრატეგია; დანერგონ პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მასში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვთა ასაკის კონტინგენტის მაქსიმალურ ჩართულობას; აუცილებელია ჩატარდეს სკოლის მოსწავლეთა პროფილაქტიკური დათვალიერება არაკარიესული დაავადებების, კერძოდ, ჰიპოპლაზიის, ფლუოროზის, ეროზიისა და სოლისებური დეფექტის დროული გამოვლინების და მათი ადრეულ ეტაპზე მკურნალობისათვის. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტ ეკა თანდილაშვილს გამოქვეყნებული აქვს 3 სტატია, მათ შორის 1 მაღალრეიტინგულ ჟურნალში. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დისერტაცია შეფასდა 93 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა საკითხით, თუ რის საფუძველზე ხდებოდა სტატისტიკური დასკვნების გამოტანა და საიდან იცოდა დოქტორანტმა, თუ რა ცვლადები უნდა შეეედარებინა ერთმანეთისთვის, სწორი შედეგების მისაღებად.

მოისმინეს: მ. კალანდაძემ აღნიშნა, რომ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტები გადიან სტატისტიკის კურსს თსუ-ს სხვა ფაკულტეტის მიერ წარდგენილ საუნივერსიტეტო კურსებზე და მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რომ მოახდინონ მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება. გარდა ამისა, ფაკულტეტზეც არსებობს კურსი „კლინიკური კვლევის დიზაინი", რომელიც ასევე ფარავს სტატისტიკის ელემენტებს.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობით.

მოისმინეს: მ. კალანდაძემ აღნიშნა, რომ კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას, რომ არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით მიაწოდონ რეკომენდაციები სტომატოლოგებს და სტომატოლოგიურ ასოციაციებს, რათა შემუშავდეს ბავშვთა ასაკში პრევენციული მიზნით ფტორის მიცემის მეთოდოლოგია.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

კენჭისყრა: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ეკა თანდილაშვილისთვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ანა მაჩაბლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის გვანცა ჭანტურიას ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოში გრიპის ვირუსების ცირკულაცია, მათი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა და მოლეკულური ბიოლოგია" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მოახსენა თემის აქტუალობის შესახებ - კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოცირკულირე გრიპის ვირუსების ეპიდემიოლოგიური და ვირუსოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება ეროვნული გაიდლაინებისთვის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვისათვის, აგრეთვე რესურსების მობილიზაციისაათვის გრიპის სეზონისათვის მზადყოფნის მიზნით (მაგ.: ანტივირუსული პრეპარატები, ვაქცინა, კლინიკების მზაობა და სხვ.). გვანცა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ კვლევის შედეგად

გამოვლინდა შემდეგი: A და B გრიპის ვირუსებით გამოწვეული დაავადების კლინიკა ერთმანეთის მსგავსია, თუმცა 30-64 წლის მოზრდილებში A/H1N1pdm09 ვირუსით გამოწვეული დაავადება უფრო მძიმედ მიმდინარეობს სეზონური გრიპის სხვა ვირუსებთან შედარებით და მეტია ლეტალობის რისკიც. მან საბჭოს წევრებს მოახსენა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შედეგი - 97 ქულა.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა, თუ მოხდა მოლეკულური შტამების წარმოჩენა და დიფერენცირება კვლევის დროს?

მოისმინეს: გ. ჭანტურიამ აღნიშნა, რომ ადგილი არ ქონია ახალი შტამების კულტივირებას და კვლევა წარმოადგენდა ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების გაანალიზებას; თუმცა კვლევის დროს გამოვლენილი იქნა A/H1N1pdm09 ვირუსების რვა გენეტიკური ჯგუფი, საიდანაც ძირითადად ცირკულირებდნენ მე-6 ჯგუფის ვირუსები, ბოლო სეზონებზე 6B და 6B.1 ქვეჯგუფის ვირუსები.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა ჯანმოს მიერ საქართველოში მიღებული შტამების დასახელებით და ამ კვლევებთან კავშირით.

აზრი გამოთქვა: გ. ჭანტურიამ აღნიშნა, რომ საქართველოში გამოყვანილი იქნა G-7 შტამი, რომლის მიერ განცდილმა მუტაციებმა საშუალება მისცეს ჯანმოს მკვლევრებს გამოეყენებინათ ეს შტამები რეზისტენტობის შემსწავლელი შემდგომი კვლევებისთვის.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

მოისმინეს: გ. ჭანტურიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტ ანა მაჩაბლიშვილს გამოქვეყნებული აქვს 8 სტატია, და ყველა მათგანი მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ანა მაჩაბლიშვილისათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **თამარ ლეკაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავჯდომარის თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის ნატა ყაზახაშვილის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. ნ. ყაზახაშვილმა აღნიშნა, რომ ნაშრომი მეტად აქტუალურია და საყურადღებო ჯანდაცვის თვალსაზრისით, რადგან საკვლევი თემა ეხება ქრონიკულ ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის საჭიროებების, მათ შორის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ხელმისაწვდომობის განსაზღვრის საკითხს. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილ პაციენტთა ამბულატორიული მომსახურეობის დროს მათი ჩივილების, პრობლემებისა და სამედიცინო საჭიროებების გამოკვლევა, შეფასება, ანალიზი და პაციენტთა შესაბამისი სამედიცინო სერვისების, მომსახურეობის მოცულობის, ხანგრძლივობის ანალიზი და ადეკვატური მკურნალობის ხელმისაწვდომობის შეფასება.

კვლევის მასალიდან ირკვევა, რომ განხორციელებულო სამედიცინო სერვისი ძირითადად დაფუძნებული იყო პაციენტების მინიმალურ საჭიროებებზე და არ მოიცავდა პალიატიური მზუნველობის საერთაშორისოდ აღიარებულ მოდელს. ნ. ყაზახაშვილმა აღნიშნა, რომ დაცვა წარიმართა ყველა პროცედურის და წესების დაცვით. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 95 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა კვლევის მთავარი შედეგებითა და რეკომენდაციებით.

მოისმინეს: ნ. ყაზახაშვილმა აღნიშნა, ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების ხელმისაწვდომობის პრობლემები, როგორიცაა მათი დანიშვნა ან დოზის გაზრდა, საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტების ადმინისტრაციული ბარიერების საფუძველზე და ასევე ბიუროკრატიული ბარიერები. ძლიერი ოპიოიდების ხელმისაწვდომობისათვის დაავადების ინკურაბლობის განსაზღვრის აუცილებლობის მოთხოვნა, ხოლო ამ უკანასკნელის განსაზღვრას კი ემყარება საერთოდ, პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი ბარიერების გადასალახავად.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება თამარ ლეკაშვილისთვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **ლია დავითაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის კვლევა (საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე)" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 90 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით და გამოქვეყნებული ნაშრომების რეიტინგით.

მოიმინეს: ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ლ. დავითაძეს დისერტაციის თემასთან დაკავშირებული ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. დისერტაციის დაცვის მასალებში წარმოდგენილია შრომების სია. დოქტორანტის მიერ უნივერსიტეტი - სამეწარმეო სფეროს ხელშემწყობი პოლიტიკის განსავითარებლად შემუშავებულია რეკომენდაციები რეგიონული უნივერსიტეტებისა და მთავრობისათვის; ასევე, შემუშავებულია რეკომენდაციები, კურსდამთავრებულთა მეშვეობით თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლია დავითაძისთვის** განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია" დოქტორანტ **მირანდა გიორგაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 89 ქულით.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილი დაინტერესდა, თუ სად ტარდებოდა ექსპერიმენტები?

მოისმინეს: ე. ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ექსპერიმენტი ჩატარდა ფაკულტეტზე და დოქტორანტს დახმარებას უწევდნენ ფაკულტეტის თანამშრომლები.

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილი დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია ნაშრომის ასეთი დიდი მოცულობა.

მოისმინეს: ე. ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ნაშრომის მოცულობა გაიზარდა დანართების საფუძველზე.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ გაეცნო სამივე რეცენზენტის რეცენზიას და აღსანიშნავია, რომ ქართველი მეცნიერების შეფასებისგან განსხვავებულია უცხოელი რეცენზენტის შეფასება. ის ძირითადად ექსპერიმენტის დროს ჩატარებულ მეთოდებზე ამახვილებს ყურადღებას. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ექსპერტის მიერ მითითებულ მათემატიკურ მეთოდებს ფსიქოლოგი ვერ გამოიყენებდა. საკმაოდ საინტერესო ნაშრომია, უჩვეულო დისერტაციაა, საბჭოში წარმოდგენილ დისერტაციებიდან.

აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს საკმაოდ ბევრი უშრომია და სერიოზული კვლევა აქვს ჩატარებული.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მირანდა გიორგაშვილისთვის** ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების

მეცნიერებები“ დოქტორანტ **ეკატერინე კვირკველიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემის სათაური: „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა;“ სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი ქეთევან ჭკუასელი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **ეკატერინე კვირკველიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) თამაზ კარანაძე - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) დარეჯან გელაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) ტატიანა პლაჩინდა - კროპივნიცკის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის (უკრაინა) პროფესიული პედაგოგიკისა და სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ზაქარია ქიტიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების დოქტორი;

ბ) რუსუდან სანაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი;

გ) ივანე მინდაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ნინო ჩახუნაშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) ეფემია ხარაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ანასტასია ქიტიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.

ზ) ნათელა ფარცხალაია - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია (თემის სათაური: „თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელები)“ სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ

მაია მანჩხაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ალექსანდრე კუხიანიძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი;

ბ) კორნელი კაკაჩია - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი;

გ) ფიქრია ასანიშვილი - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი;

დ) სალომე დუნდუა - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი;

ე) ავთანდილ ტუკვაძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი;

ვ) ჰენრი კუპრაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი;

ზ) ნიკა ჩიტაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შავი ზღვის გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორი და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია" (ქვედარგი - მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია) დოქტორანტ **კონსტანტინე ფერაძის** (თემა - „ქართული წარმოშობის ოსმალო მოხელეები XVIII-XIX საუკუნეების მაღრიბის საფაშოებში"; ხელმძღვანელი პროფ. გოჩა ჯაფარიძე) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია" (ქვედარგი - მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია) დოქტორანტ **კონსტანტინე ფერაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ნანი გელოვანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი

ბ) ირაკლი თოფურიძე - ისტორიის დოქტორი, აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ასოც. მკვლევრი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ცისანა აბულაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი;

ბ) მერაბ ტიკაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

გ) გიული ალასანია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;

დ) მურმან პაპაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;
ე) მირიან მახარაძე - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ვ) ზაზა შაშიკაძე - ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზ) ლეილა ხუბაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
თ) მიხეილ ბახტაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ი) ნიკოლოზ ჯავახიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის (სათაური - „კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება" (ტექსტის თარგმნა, გამოკვლევა, და კომენტარები); ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე და ასოც. პროფესორი ნათია ჩანტლაძე) რეცენზენტები და დაცვის კომისია.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრად წარმოდგენილია ნიკოლოზ ალექსიძე - აღმოსავლეთმცოდნეობის დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელიც დოქტორანტის ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიკოს ზაზა ალექსიძის შვილია. რამდენად მიზანშეწონილია ნ. ალექსიძის დამტკიცება წევრად?
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია ამ ეტაპზე საბჭოს მიერ კენჭი ეყაროს რეცენზენტების დამტკიცებას და ფაკულტეტს მიეცეს რეკომენდაცია, იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე და წამოადგინონ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია განახლებული შემადგენლობით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები წარმოდგენილი შემადგენლობით და ფაკულტეტმა წარმოადგინოს დაცვის კომისიის განახლებული შემადგენლობა.
რეცენზენტები:
ა) მაია რაფავა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
ბ) ნინო აფციაური - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - თარგმანმცოდნეობა) დოქტორანტ **ეთერ ჭურაძის** სადისერტაციო ნაშრომის (სათაური „ერნესტ ჰემინგუეის მცირე პროზის ტრანსფორმაცია ქართულ თარგმანში"; ხელმძღვანელი - პროფ. ინესა მერაბიშვილი) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - თარგმანმცოდნეობა) დოქტორანტ **ეთერ ჭურაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ოთარ მათეშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ბ) ლელა ებრალიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასისტენტი პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მანანა გელაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) თინათინ მარგალიტაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

გ) ელისო გოდუაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

დ) ნუგზარ რუხაძე - პედაგოგიკის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ე) ეკა დუღაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ნათია ამირეჯიბი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ზ) გიორგი ყუფარაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

თ) ხატია ხატიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი;

ი) ინგა ადამია - ფილოლოგიის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - ინგლისური ფილოლოგია) დოქტორანტ **ლია რუხიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის (სათაური: „იურიდიული ტერმინოლოგია ენობრივი და სოციოკულტურული თვალსაზრისით: ინგლისური, ფრანგული და ქართული საოჯახო სამართლის მასალაზე"; ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. გიორგი ყუფარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ესპანეთის სევილიის უნივერსიტეტის მკვლევარი - ქეთევან ჯაში) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - ინგლისური ფილოლოგია) დოქტორანტ **ლია რუხიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ნინო ქემერტელიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი;

ბ) ქეთევან გაბუნია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

გ) ლელა ჯანაშვილი - სამართლის დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მანანა რუსიეშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;
ბ) თინათინ მარგალიტაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;
გ) ციცინო ხვედელიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ემერიტუსი პროფესორი;
დ) ციური ახვლედიანი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ემერიტუსი პროფესორი;
ე) რუსუდან დოლიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ვ) ირინა გველესიანი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ზ) მარინა კობეშავიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
თ) ნატალია სურგულაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი;
ი) თამარ ზარანდია - სამართლის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურის კვლევები" დოქტორანტ **ნინო მგალობლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის (სათაური: „მოდა, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა პოსტსაბჭოთა საქართველოში"; ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი - ქეთევან კაკიტელაშვილი) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურის კვლევები" დოქტორანტ **ნინო მგალობლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ლელა ფირალიშვილი - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
ბ) ლელა წიწუაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ნინო ჩიქოვანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;
ბ) ივანე წერეთელი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
გ) ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევების დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი;
დ) მაია ქვრივიშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ე) ნინო ფირცხალავა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ვ) თინათინ ღუდუშაური - ანთროპოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი;
ზ) თეიმურაზ გვიმრაძე - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
თ) ელენე გოგიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ი) თეა ქამუშაძე - ანთროპოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგია"

დოქტორანტ **ანა თეთრუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის (სათაური: „მეურნეობის ტიპები გრაკლიან გორაზე (ქვის ინდუსტრიის, არქეოლოგიური და ტრასოლოგიური კვლევების მიხედვით); სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ვახტანგ ლიჩელი) რეცენზენტის შეცვლისა და ახალი რეცენზენტის დამტკიცების საკითხი; გააცნო ფაკულტეტიდან შემოსული კორესპონდენცია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგია" დოქტორანტ **ანა თეთრუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად **მინდია ჯალაბაძე** - არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია" დოქტორანტ **თეა გველესიანის** სადისერტაციო ნაშრომის („პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია" დოქტორანტ **თეა გველესიანის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) თამარ აბაშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ბ) რევაზ ჯორბენაძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) ლიინა რენდმენი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინდუსტრიული ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მაია რობაქიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ბ) გიორგი გოროშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) სოფიო დოლიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

დ) ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ე) ირინა ჟვანია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ვ) მაია კალანდარიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; საქართველოს

საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;

ზ) რუსუდან ციცქიშვილი - პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს

უნივერსიტეტი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ანა ტიკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის („ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან"; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **ანა ტიკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) დალი ფარჯანაძე - თსუ მოწვეული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ბ) ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) მარტინ ედვარდსი - ლონდონის სამეფო კოლეჯი, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თამარ გაგოშიძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) მაია რობაქიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) გიორგი გოროშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

დ) სოფიო დოლიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ე) თამარ აბაშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ვ) ირინა ჟვანია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ზ) რუსუდან ციცქიშვილი - პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი